# ბორჯომის მუნიციპალიტეტი

## გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის სარიტუალო დანიშნულების დარბაზის მოწყობა

# სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ბორჯომი 2011 წელი



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

**1.** ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი; (დანართი #1)

ბ) ხარჯთაღრიცხვა (დანართი #2);

გ) ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ (დანართი #3);

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„კ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე.

გ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 30 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – ,,წინადადების მიღება დაწყებულია” მინიჭების ეტაპიდან;

დ) წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში (არაუმეტეს 30% ოდენობისა) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

ე) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;.

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

ზ) შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 1 (ერთი) წელს.

თ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 % პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ი) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში (2009, 2010) შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო სამუშაოები არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს დანართი N3-ის შესაბამისად. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლების ან/და სამუშაოს შესრულების მიღება- ჩაბარების აქტების ასლები).

1.3 გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

ა) იურიდიული პირისათვის, ამხანაგობისათვის და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

– ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმის ასლი;



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ფიზიკური პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღა) არარსებობის შესახებ;

შენიშვნა: საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები (პუნქტი 1.3) გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის – „ტენდერი გამოცხადებულია"მინიჭების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, წერილობითი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და მას არ დაუბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა.

გ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომელიც თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და სათანადო წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული;

**2.** შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.1 ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევში სარიტუალო დანიშნულების დარბაზის მოწყობა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერა:

1. სოფელ ჭობისხევში არსებულ დაზიანებულ შენობაში უნდა მოეწყოს სარიტუალო დანიშნულების დარბაზი (იხილეთ სქემა).
2. შენობაში უნდა მოეწყოს სამზარეულო;
3. სარიტუალო დანიშნულების შენობის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს ორმოული ორადგილიანი ტუალეტი (იხილეთ ნახაზი);

2.3 გამოყენებული მასალის მახასიათებლები:

– სამუშაოს შესრულებისას ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს ახალი (ხის მასალის გარდა), მაღალხარისხიანი და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტადარტებსა და სამშენებლო ნორმებს;

2.4. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა (ტრანსპორტირება, ორგანიზაციის ზედნადები ხარჯები, მოგება და სხვა) და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

3. დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე–4 სართული. საკონტაქტო პირები: მაია მახარაშვილი ტელ: +995 367 222013



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო —— ——————— 2011 წ.
ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ ——————————————————————————————
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)
(შემდგომში „მიმწოდებელი“)
შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი
——————————————————————————————————————————
——————————————————————————————————————————

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხით:
——————————————————————————————————————————
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).
1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
2. ხელშეკრულების საგანი
2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ——————————————————————
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს ———— ლარს.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4. სტანდარტები
4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

პარამეტრებში მითითებულ სტანდარტებს.
5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;
5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წარილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების და წუნდების მიზეზების მითითებით;
5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5.4. მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და სამუშაოების ხარისხის კონტროლი;
5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი
6. სამუშაოების შესრულების დავა
6.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ტენდერით გათვალისწინებლ ვადებში.
6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1. „შემსყიდველი" ესრულებულის სამუშაოების მიღებას მოახდენს ეტაპობრივად მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.
7.2 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიური დადასტურების შემდეგ.
8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია
8.1 გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და ძალაშია _____.
8.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების _____%–ის ოდენობით შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო;
8.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყონებლივ დაბრუნება.
9. გარანტია
9.1 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს, რომლის განამავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებითუზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

10. ანგარიშსწორება და ვალუტა
10.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოს სერულებაზე გაწევისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;
10.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
10.4 ანგარიშწორება განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს დადასტურებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.
11. ფასები



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

11.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.
11.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგადიზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.
11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
13. უფლებების გადაცემა
13.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.
14. სუბკონტრაქტორები
14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.
14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
16. მხარეთა უფლება–მოვალეობები
16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
– სამუშაოების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია
16.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
16.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
16.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

17.1. თუ მიმწოდებელი:
ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;
ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება დააამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზრაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
17.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმდება აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
17.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
17.4 თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას , დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
17.5. იმ შემთხეევევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
17.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;
18. ხელშეკრულების შეწყვეტა
18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
18.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
19. დაუძლეველი ძალა
19.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
19.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანესწ მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
19.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.
20. სადაო საკითხების გადაწყვეტა
20.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
20.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

21. გამოყენებული სამართალი

21.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

23. შეტყობინება

23.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

23.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. გადასახადები და დაბეგვრა

24.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

25. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

25.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის _____ ჩათვლით

25.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| ბორჯომის მუნიციპალიტეტი | _____ |
| მის: ქ. ბორჯომი, | _____ |
| რუსთაველის მოედანი №1 | _____ |
| ს.ს. „თიბისი ბანკი“ | |
| ბორჯომის ფილიალი | |
| ა/ა № 5833030100001 | |
| ს/კოდი: 226161961 | |
| ბორჯომის მუნიციპალიტეტის | _____ |
| საკრებულოს თავმჯდომარე | _____ |
| --- | --- |
| ბ. ქურდაძე | / / |



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

<u>დანართი №1</u>

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა
და დასახელება: _____

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული
ან/და ფაქტიური მისამართი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული მისამართი: _____

საბანკო რეკვიზიტები: _____

_____-

პრეტენდენტი _____



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დ ა ნ ა რ თ ი №3

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოების ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ... | | | | |
| ჯამი (2009 წელი) | | | | |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ... | | | | |
| ჯამი (2010 წელი) | | | | |
| სულ ჯამი | | | | |

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ბ.ა

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

Created with
nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional